დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის

№03 ბრძანებით (დანართი 31)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“

კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ინსტიტუციური სტრატეგია

მიუხედავად იმისა, რომ გალობის უნივერსიტეტი ამ ეტაპზე არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამას (სამომავლოდ იგეგმება სადოქტორო პროგრამის შემუშავება) და არ წარმოადგენს კვლევით ინსტიტუციას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. სამეცნიერო აქტივობების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით, ბოლო წლებში უნივერსიტეტმა გასწია მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიმუშავა სამეცნიერო-კვლევითი/მეთოდური/შემოქმედებითი საქმიანობის წესი და პროცედურები; ბიუჯეტში გაზარდა კვლევების დაფინანსება.

წინამდებარე სტრატეგია წარმოადგენს ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემადგენელ ნაწილს და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასთან, ღირებულებებთან, სტრატეგიული განვითარების მიზნებთან და ამოცანებთან.

უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული **ხუთი სტრატეგიული მიმართულებიდან** პირველი სწორედ სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის სტრატეგიას განსაზღვრავს:

1. ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და **სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;**

2. მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ინსტიტუციის საქმიანობაში სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება;

3. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

4. საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურისა და საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება;

5. საზოგადოებასთან კავშირის განვითარება და ქართული ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების სოციალიზაცია.

გალობის უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით განსაზღვრავს კვლევით პრიორიტეტებს, ხელს შეუწყობს მათ განხორციელებას (ფინანსურად და ადმინისტრაციული კუთხით) და უზრუნველყოფს მიღებული შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში.

კვლევების/შემოქმედებით საქმიანობის განვითარების მიმართულება ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პირველი მიზნის მე-5 ამოცანაში, რაც მოიცავს:

მინიმალური სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის სტანდარტის განვითარება და დანერგვას, კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენას, კვლევების/სამოგზაურო გრანტების დაფინანსების წესის შემუშავებას და დამტკიცებას, შიდა საგრანტო კონკურსების გამოცხადებას, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას, სამეცნიერო შრომათა კრებულების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სანოტო კრებულების აუდიო ალბომების გამოცემას, ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებზე აკადემიური პერსონალის დასწრების მხარდაჭერა, აკადემიური პერსონალის უნარების გაძლიერება საგრანტო პროექტების წერისა და შესაბამისი ფონდების მოძიების მიმართულებით, ადგილობრივი საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და აკადემიური პერსონალისათვის გაცნობას.
უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობა რეგულირდება საეკლესიო მუსიკის ფაკულტეტის დებულებით, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესისა და პროცედურების, ასევე შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. არსებული დოკუმენტაცია განსაზღვრავს კვლევის და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის სისტემას.

სასწავლებელში არსებულ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად სამეცნიერო-კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ასევე ჩართულები არიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლის ძირითადი ფინანსური მხარდაჭერის წყაროა სასწავლებლის ბიუჯეტი. გარდა უნივერსიტეტის ბიუჯეტისა, სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი აქტივობები მხარდაჭერილია სსიპ-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქველმოქმედო ფონდი „ქართული გალობისა“ და სსიპ-რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, რის შედეგადაც განხორციელდა და მიმდინარეობს არაერთი კვლევითი-სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტი.

დაწესებულებამ განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესში ჩაატარა SWOT ანალიზი, რამაც გასაუმჯობესებელ მხარეებს შორის გამოავლინა:

1. საერთაშორისო კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების სიმცირე;
2. უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად განხორციელებული კვლევების დაბალი მაჩვენებელი;
3. კვლევითი/შემოქმედების საქმინობის მართვის სისტემის გაუმჯობესება
4. კვლევების დაფინანსების მოსაპოვებლად საერთაშორისო ფონდებთან არასაკმარისი თანამშრომლობა;

ძლიერ მხარეებად განისაზღვრა:

1. ფინანსური რესურსი, გამოყოფილი კვლევებისა და შემოქმედებითი პროექტების, ექსპედიციების დაფინანსება/თანადაფინანსება, დონორი ორგანიზაციების (ფონდი „ქართული გალობა“) მხარდაჭერა;
2. კვლევითი შედეგების გამოქვეყნება, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება, ექსპედიციების ჩატარება;
3. აკადემიური პერსონალის ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი პოტენციალი;
4. კვლევითი/შემოქმედებითი პროექტების ადმინისტრირების ეფექტიანი სისტემა, უზრუნველყოფილი ადამინური რესურსით (პროექტების მართვის მენეჯერი).

გამოიკვეთა სტრატეგიული ამოცანები

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული ამოცანებია ხელი შეუწყოს:

1. **აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი და შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურებას:**
   - კვლევების ფინანსური მხარდაჭერით, კვლევის შედეგების გამოქვეყნების თვალსაზრისით;

- აკადემიური პერსონალის მობილობას, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღებისა და ექსპედიციების ჩატარების მიზნით;
- მხარდაჭერა გაუწიოს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს საგრანტო დაფინანსების მოპოვებაში, გაავრცელოსინფორმაცია და კონსულტაცია გაუწიოს მას საპროექტო წინადადებების შემუშავებაში საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით;
- ორგანიზებას გაუწიოს სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც ეძღვნება ტრადიციული მუსიკისა და ღვთისმეტყველების საკითხებს.

2. **სამეცნიერო-შემოქმედებითი მიმართულებით სტუდენტური ინიციატივების მუდმივი მხარდაჭერა და წახალისება:**
   - სტუდენტური ჯგუფების ჩართვა ფოლკლორულ ექსპედიციებში;
   - ექსპედიციის მასალების საჯარო პრეზენტაციის წარდგენაში მხრდაჭერა;
   - ექსტედიციის მასალების გამოცემაშ მხარდაჭერა;
   - სალოტბარო პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობა;
   - ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება.

3. **ახალგაზრდა კადრების მოზიდვას და მათ კვლევით/შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვას;**

4. **სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანი ადმინისტრირების უზრუნველყოფას;**

სტრატეგიული ამოცანების შესაბამისად განისაზღვრა ამ მიმართულებით სამოქმედო გეგმა. სადაც დიდი ყურადღება მიექცევა გასაუმჯობესებელი მხარეებს - კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო პარტნიორული მიმართებების განვითარებას.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანი ადმინისტრირებისათვის ჩამოყალიბდა შემდეგი სამოქმედო გეგმა:

აქტივობა	**განხორციელების ვადა**	**პასუხისმგებელი სტრუქტურები / ჩართული მხარეები**	**შესრულების კრიტერიუმები**	**რესურსები**	**ფინანსური უზრუნველყოფა**
1. მინიმალური სამეცნიერო/შემოქმედებითი მუშაობის სტანდარტის განვითარება და დანერგვა	2023 წ. I კვარტალი მარტი; 2024-2025 წწ.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური / ფაკულტეტი / იურისტი	მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის არსებობა სამეცნიერო-კვლევითი / მეთოდური / შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების წესში. მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის დანერგვის შედეგები (პუბლიკაციების, სამეცნიერო ფორუმებზე მოხსენებების, საერთაშორისო დონის კონცერტებში მონაწილეობის და ა.შ. რაოდენობა)	უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი	არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურს
2. კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა, კვლევების/სამოგზაურო	2023 წ. II კვარტალი - მაისი	რექტორი / ფაკულტეტი / ადმინისტრაცია / პროექტების	კვლევების/სამოგზაურო გრანტების დაფინანსების წესი; დამტკიცების აქტი; სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების განაცხადის ფორმა	უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი	არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურს

გრანტების დაფინანსების წესის შემუშავება და დამტკიცება		მართვის სამსახური / იურისტი			
3. შიდა საგრანტო კონკურსების გამოცხადება	2024-2025 წწ.	რექტორი / ფაკულტეტი / ადმინისტრაცია / პროექტების მართვის სამსახური / იურისტი	კონკურსის გამოცხადების ბრძანება / მონაწილეების რაოდენობა / კონკურსის შედეგად განხორციელებული პროექტების რაოდენობა	უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი	არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურს
4. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება / სამეცნიერო შრომათა კრებულების / მონოგრაფიების / სახელმძღვანელოების გამოცემა	2023 წ. II კვარტალი მაისი – ივნისი -2024-2025 წწ.	რექტორი / ფაკულტეტი / ადმინისტრაცია / ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური / პროექტების მართვის სამსახური / იურისტი / შესყიდვების მენეჯერი / ფინანსური მენეჯერი	წელიწადში ერთი გამოცემა მაინც / ფაქტობრივი გარემოებები / ბიუჯეტი	უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი / გარე მხარეები	მუხლი 2.2.2 მუხლი 2.1.4 მუხლი 2.2.4 მუხლი 3.1.4 მუხლი 2.2.4
5. ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებზე აკადემიური პერსონალის დასწრების მხარდაჭერა	2023 წ. II–IV კვარტალი: მაისი-დეკემბერი; 2024-2025 წწ.	ადმინისტრაცია / იურისტი / ფინანსური მენეჯერი / პროექტების	ფაქტობრივი გარემოებები / ბიუჯეტი / ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილე აკადემიური პერსონალის რაოდენობა	უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი / გარე მხარეები	მუხლი 2.2.2

		მართვის სამსახური / შესყიდვების მენეჯერი			
6. აკადემიური პერსონალის უნარების გაძლიერება საგრანტო პროექტების წერისა და შესაბამისი ფონდების მოძიების მიმართულებით	2023 წ. II კვარტალი მაისი - ივნისი 2024 – 2025 წწ.	ფაკულტეტი / მოწვეული ექსპერტები / პროექტების მართვის სამსახური	ჩატარებული ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები; ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია; საგრანტო პროექტები; მოძიებული ფონდები.	უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი / გარე მხარეები	არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურს
7. ადგილობრივი საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და აკადემიური პერსონალისათვის გაცნობა	2023 წ. II კვარტალი მაისი – ივნისი 2024 – 2025 წწ.	მენეჯერი	მოძიებული საგრანტო კონკურსები; აკადემიურ პერსონალთან გამართული საინფორმაციო შეხვედრები	უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი	არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურს

სტარტეგიული ამოცანების შესაბამისად დასახული გეგმის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში. სასწავლებლის 2023 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია ფინანსური რესურსები სამეცნიერო კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების მიმართულებით. 2024 და 2025 წლების ბიუჯეტის პროექტებით იგეგმება სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ზრდა, კერძოდ: სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გასაწევი ხარჯებია: 2023 წელი - 91 308 ლარი; 2024 წელი - 141 665 ლარი; 2025 წელი - 177 665 ლარი.